ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 12 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ (იანვარი-თებერვალი);

3. 2023 წელში რგპ ფონდიდან დაფინანსებული პროექტებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (იანვარი-თებერვალი);

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ და 2024 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (თებერვალი);

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა (თებერვალი-მარტი);

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ (მარტი);

7. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);

8. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი);

9. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი-ივნისი);

10. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (აპრილი-ივლისი);

11. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (ივლისი-სექტემბერი);

12. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა (წლის განმავლობაში);

13. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა (წლის განმავლობაში);

14. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ინფორმაციის მოსმენა მიმდინარე მუშაობის შესახებ (წლის განმავლობაში);

15. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

16. 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი-დეკემბერი);

17. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2024 წლის განმავლობაში ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ ჩატარებული ყველა სხდომა იყო რიგითი, განხილულია 27 საკითხი, მოსმენილია 3 ანგარიში.